აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 116

05 დეკემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07.66.03);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმი (ფორმა №1-07.67.03);

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07.68.03);

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმი (ფორმა №1-07.69.03).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია